

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა/Construction
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი/Bachelor of Civil Engineering
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	გაიოზ ფარცხალაძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: gizo.partskhaladze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ მისცეს სტუდენტს ფართო განათლება ზუსტ, ბუნებისმეტყველების, ზოგად საინჟინრო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში; ✓ შეასწავლოს სტუდენტს მყარი ტანის წონასწორობისა და მოძრაობის პირობები და ამ პირობების გამომწვევი მიზეზები; სითხის წონასწორობისა და მოძრაობის კანონზომიერებები; მყარი, თხევადი და დისპერსიული სხეულების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები; დეფორმირებადი სხეულის გაანგარიშება სიმტკიცეზე, სიხისტეზე და მდგრადობაზე; საინჟინრო ნაგებობების გაანგარიშება სიმტკიცეზე, სიხისტეზე და მდგრადობაზე; რკინა-ბეტონის, ლითონის, ხის სამშენებლო კონსტრუქციების, ასევე ფუძე-სამირკვლების კონსტრუირების მეთოდები; შენობათა არქიტექტურის, საინჟინრო გეოდეზიის, საშენი მასალების, მშენებლობის ტექნოლოგიების, მშენებლობის ორგანიზაცია-მართვის თეორიული საკითხები; საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკის, მოდელირების კომპიუტერული სისტემების მეთოდები; ეკოლოგიის, შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საფუძვლები; ✓ მოამზადოს თეორიულ და პრაქტიკულ სამშენებლო/საპროექტო საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ-ჩვევებით, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> ✓ ფლობს სამშენებლო კონსტრუქციების (რკინაბეტონის, ლითონის და ხის კონსტრუქციები, ფუძე სამირკვლები) თეორიებისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ზუსტი და ბუნებისმეტყველების, მექანიკის (თეორიული მექანიკა, მასალათა გამძლეობა, სამშენებლო მექანიკა, სითხეების მექანიკა, გრუნტების მექანიკა)

	<p>მეცნიერებების ცოდნას და ახდენს მათ გააზრებას;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ფლობს მშენებლობის ტექნოლოგია-პროცესების და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: შენობათა არქიტექტურის, გეოდეზიის, საშენი მასალების, სამშენებლო მანქანებისა და მშენებლობის ორგანიზაცია-მართვის მეცნიერებების ძირითად თეორიულ საკითხებს და ახდენს მათ გააზრებას; ✓ იაზრებს შენობა-ნაგებობის აღჭურვასთან დაკავშირებულ წყალმომარაგება-წყალარინების, ელექტრომომარაგების, თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის ტექნოლოგიებს, მათ მნიშვნელობას ერთიან სისტემაში და მასთან დაკავშირებულ საკითხებს; ✓ აქვს მშენებლობის პროექტების მომზადებისათვის აუცილებელი თანამედროვე წერითი, გრაფიკული და კომპიუტერული ტექნოლოგიების თეორიისა და მეთოდების (MathCAD, Matlab, AutoCAD, LIRA ...) ცოდნა; ✓ აცნობიერებს სოციალურ-კულტურულ ფასეულობებს; პროფესიულ და ეთიკურ პასუხისმგებლობებს; შრომის უსაფრთხოების როლს კატასტროფების რისკის შემცირებისათვის; ტექნიკურ და გარემოსდაცვით საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას; ✓ ქმნის სამშენებლო კონსტრუქციულ პროექტს საშუალო სირთულის შენობა-ნაგებობებზე (კოჭოვანი, წიბოვანი, ოთხ კონტურზე დაყრდნობილი და სხვა მსგავსი ტიპის სიტემები) ზუსტი, ბუნებისმეტყველების, საინჟინრო მექანიკის ძირითადი მეთოდების გამოყენებით ტექნიკური, ფუნქციური, ესთეტიკური, ეკოლოგიური, უსაფრთხოების მოთხოვნებისგათვალისწინებით; ✓ წარმართავს საშუალო სირთულის შენობა-ნაგებობებზე სამშენებლო პროცესს, წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, სამშენებლო-კონსტრუქციული პროექტის მიხედვით არქიტექტურის, გეოდეზიის, საშენი მასალების, სამშენებლო მანქანებისა და მშენებლობის ორგანიზაცია-მართვის მეთოდების გამოყენებით; ✓ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესში, ითვალისწინებს და ასახავს წყალმომარაგება- წყალარინების, ელექტრომომარაგების, თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის სისტემებს; ✓ შეუძლია თანამედროვე საინჟინრო/სამშენებლო პრაქტიკისათვის აუცილებელი მეთოდების (მათ შორის წერითი, გრაფიკული, კომუნიკაციური და სხვ.) ტექნიკისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება; ✓ პროფესიული საქმიანობის პროცესში, ეთიკის მოთხოვნების, ეკოლოგიური და უსაფრთხოების პრინციპების დაცვით, მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში და ამ პროცესში სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით ამყარებს კომუნიკაციას; ✓ განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.
--	---